

852  
1976

სოციალ-დემოკრატიული პარტიის განცხადება.  
Organ du Bureau à l'Etranger du parti Social-démocrate de Géorgie.

# ჩვენი დროშა

" NOTRE DRAPEAU "

დაარსებულია 1904 წლის 1 იანვრის 8004.

მ ა ი ს ი 1 9 7 6 ვ ა რ ი ს ი ს ი

№ 86

შინაარსი:

ს ა მ ა ი ს ი	პ. სარჯველაძე.
† კარლო ჩხეიძის ტრალიკულად დაღუპვის 50 წლისთავი	
მცირე შენიშვნები დიდ საკითხზე.	ა. ბადრიძე
სარწმუნოების დევნა საქართველოში	მინ. ლაშაური.
კათალიკოს ამბროსის კურთხევა	† ვლასა მგელაძე.
† თამარ პაპავასი.	პ. ს.
დედა-ენა (ლექსი)	გ. ყიფიანი.
სამარცხვინო გამოსვლა	დიმიტრი მარშანია.
შევარდნაძის აღსარება	პლატონ ლეუავა.
საოვისტომოს კრება	გრ. ბარამიძე.
26 მაისი პარიზში	გ. ბ.

## ს ა მ ა ი ს თ

მიმღინარე ეპოქის ერთი მწვავე პრობლემათაგანია ეროვნული საკითხი. ყველგან, დაპყრობილ ერის შეი ლებს, ყველაზე მეტად სტანჯავს, აწუხებს უცხო ძალა-დობის ქვეშ ცხოვრება.

სუკუნობით იბრძოდა ესა თუ ის ერის რათა მძიმე ულელი ეროვნული ჩავტორისა გადაეგდო და დაეფუძნებია საკუთარი სახელმწიფო. დაპყრობილ ერის მოძრავ ძალე-ბისათვის, ყველა საკითხზე მაღლა სდგას ქვეყნის გან-თავისუფლებისათვის ბრძოლა. სანამ ერს, სუვერენობა არ აღუდგენია, იგი განუწყვეტლივ შეურყევლად მოით-ხოეს თავის შეილებისაგან თავდადებასა და მსხვერპლს...

საბჭოთა იმპერიაში დღეს, ჩაქედილ ერებისათვის არ სდგას საკითხი რეემის და არც რუსეთის დემოკრა-ტიის საეგბით გამარჯვებასთან არის მათი განთავისუფ-ლება დაკავშირებული. რუსეთის წარსული ისტორია არ იძლევა არც ერთ დროის მონაკვეთს, როგორც ხალხს განეცადოს დემოკრატიული თავისუფლების სითბო...

და მომავალშიც, სამწუხაროდ არ ასებობს იმედიანი პერსპექტივები...

უდავოა, რომ დემოკრატიული მსოფლმხედველობა უსათუოდ ხელს უწყობს სწორი შეხედულების გამომუ-შავებას, რადგან ლიბერალურ-დამოკრატიული იდეები, თავის საშოში, დამოუკიდებლობის პრინციპს ატარებს. სადაც დემოკრატიული წყობილებაა, იქ შესაძლებელი ხდება საზოგადოების და ადამიანის კულტურულ-ეკონო-მიური განვითარება.

საფრანგეთის დიდი სოციალისტი და ტრიბუნი ფან კო-რესი, თავის ცნობილ ნაწარმოებში „ლ, არმე ნუველ“. ში გვ. 439—440, ამბობს:

„არ ყოფილა თავის დღეში დემოკრატია, რომ მას შეს-ძლებოდეს, ქვეყნად თვითდამკიდრება და ასებობა; ისე თუ იგი არ უზრუნველყოფდა ეროვნულ დამოუკიდებ-ლობას, მეორეს მხრივ ეროვნული გამარჯვება მუდამ, შეიცავდა ნაწილს დემოკრატიის გამარჯვებისა“—ო, ამის საუკეთესო ილიუსტრაცია არის ის ფაქტი, რომ ავსტრი-უნგრეთის თუ რუსეთის იმპერიების ნანგრევებზე აღმოცენ დნენ დამოუკიდებელი სახელმწიფონი, დემოკრატიული

კონსიტუციით; ეკროპის მცირე ერქბი: შვეცა, დანია, ნორვეგია, ბელგია, პოლანდია, შვეიცარია, უარესად დემოკრატიულად განვითარებული, დამოუკიდებელი ერქბია და სასტიკი დამცველი ეროვნულ - დემოკრატიული წყობილების... ერთა დამოუკიდებლობას, დღეს პრინციპიალურად არც კი ჰყავს მოწინააღმდეგე; ეროვნული მოძრაობა მოედო მთელ მსოფლიოს, შეიჭრა მიყრუებულ ეთნოგრაფიულ ერთეულებში, რომლებიც ახლა ეძებენ თავიანთ ისტორიულ წარსულს, ზოგს არც კი გააჩნია იგი.

არც ისე დიდი ხანია, რაც კოლონიზატორები მისტიროლნენ კოლონიების დაკარგვას, რომ „მეტროპოლის“ არ შეუძლია ეკონომიურად თავის გატანა, თუ კოლონიები არ დაუტჩაო. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ და ერთა ურთიერთ/დამკიდებულებამ დაამსხვრია ეს შეხედულება. ჩვენს თვალშინ მოხდა მრავალ ერთა განთავისუფლება, რომლებმაც დამყარეს ნორმალური დამოკიდულება გუშინდელ მპყრობელ ერთან, ორივე მხარის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში, ორივე მხარეთ შეგნება აღმოაჩნდათ იმისი, რომ საკუთარ სამშობლოში, ეროვნული წარმატება, პროგრესი უფრო შესაძლებელია და ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრების დამყარება უზრუნველყოფილია...

მაგალითად ჩუსეთის ხალხი უფრო მოიგებდა თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებში ჩაიყნებით და მცირე ერთა განთავისუფლებით. სამწუხაროდ, ჩუსეთის ისტორიული გზა შედგა იმპერიალისტურ ჩელსებშე დასაბამიდან, ძველი და ახალი მართველები გაპყვენ ამ დატაცების, ძალით შემოერთების და განდიდების პოლიტიკას, მოიმქნეს სხვა ერების სიძულვილი, მუდამ შიში აჯანყების, შფოთის და მუდმივ შეიარაღებაში და თავდაცვის ვითარებაში ხდება ჩუსეთის ხალხის ეკონომიური და პოლიტიკური დამონება...

ერთ დროს გავრცელებული იყო აზრი, რომ მუშათა კლასს სამშობლო არა აქვსო, რაღვან მის ხელში არ არის ქვეყნის ეკონომიური ჩესურსები, და მოკლებული არის მონაწილეობა მიიღოს მის მართვა - გამგეობაშიო. ესეც პრაქტიკულმა ცხოვრებამ უარყო. თეთით მშრომელმა მასებმა დაინახეს, რომ მათ მიერ პროფესიონალურ და

პოლიტიკურ უფლებათა მოპოება შესაძლებელია, და მოუკიდებელ სამშობლოში. ისინი ყველა სხვა სოციალურ ფენაზე უფრო დაინტერესებულნი არიან ქონდეთ საკუთარი მშობლიური ენა, საკუთარი კულტურა. ვინ შეემნა თუ არა ხალხმა, ხშირად პოლიტიკურად და ეროვნულად დაჩაგრულმა, ლეგენდები, სიმღერები, ოდები, საკუთარ ეროვნულ სახეობის გადასარჩენად?..

სამწუხაროდ, მდიდარი და ღრიბი წინადაც იყო, მომავალშიც ალბათ იქნება. აქედან პირველს შეუძლია განცხრომით ატაროს ცხოვრება სამშობლოს გარეთაც, მეორე ჩაფრენილია თავის საკუთარ მიწა-წყალს, სადაც შობილა და აღზრდილა... მუშას სამშობლო არა აქვს არა თუ დრომოქმულ დებულებაა, იგი ისტორიული სიყალბადა.. .

მეოცე საუკუნის განსაცეიფრებელ ტეხნიკურ განვითარების შუქმა, მძლავრად შეანათა მცირე ერებში, დღეს ეს აღარ არის დიდი ინდუსტრიალურ სახელმწიფოთა ნაწყალობები, არამედ მოთხოვნილებათა განვითარების ნიადაგზე აღმოცენებული ეკონომიკური ექსპანსიის შედეგი, რასაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ აცდა და ვერც მომავალში აცდება... ამ აუცილებელ პრობათა მიხედვით, რა საცდავად გამოიყურება მტკიცება იმისი, რომ რუსეთის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საქართველოში ტეხნიკური განვითარების წარმოშობა.

დაუბრუნდეთ ჩეენს საუბარს. საფრანგეთის დიდ რევოლუციამ წამოაყენა აღამიანის და მოქალაქის თავისუფლება. ამ დებულების გახსნას, მის პრაქტიკულად განხორციელებას მიყენართ ერთა თავისუფლებისაკენ, კიდევ მეტისაფრანგეთის რევოლუციამ აღიარა ერის სუერონბა, რომელიც დასაბამის ყოველგვარი ხელისუფლების; დასავლეთის ქვეყნებმა აითვისეს და დამცველნი დარჩენენ რევოლუციისაგან მოცემულ ლოზუნების, აღიარეს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარები. სათვის აუცილებელ საჭიროებად.

ამ ვითარებას წინ ეღობება აღმოსავლეთიდან მოწოდილი ტალღა რუსეთის სახით; მის მიერ ჩატარებული მძპერიალისტური ზრახვები, მისი ტოტალიტარული რეჟიმით ერთა დამოუკიდებლობის იდეას აჩვებითად ებრძების.

ჯერ კიდევ არიან ვაი თეორეტიკოსები, სოციოლო-

გები, თუ ეკონომისტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პროგრესიულ მოვლენას, ეკონომიურ ექსპანსიას წინ ელობება მრავალ ერთა შექმნა, მცირე სახელმწიფოთა გამრავლება.

ასეთ მოსაზრებებს სარჩულად უდევს დიდთა ბატონობის სურვილი მცირე ერებზე, რადგან დღეს თვალილულია, რეალურია, რომ ტეხნიკურ-ეკონომიურ განვითარებას მოძრაობაში მოჰყავს დაჩაგრულ ერთა ცხოვრება, ხელს უწყობს მცირე ერთაგანთავისუფლებას, ეს ერთის მხრივ. ამავე დროს, კოოპერაცია, ერთა თავისუფალი თანამშრომლობა, ეს ორი ფაქტორი არ არის განაპროგრესიული მოვლენა?

თითოეული ერთს თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებში აღადგენა და შემდეგ მათი შეკავშირება უფრო რეალურ და მკეიდრ საფუძველს არ ქმნის პროგრესისას, წინსელისა და კაცობრიობის წარმატებისათვის, ვინერ ძალადობა, ძლიერის გაბატონება მცირე ერზე?

ისტორიულ წარსულში რამდენი მაგალითია, — გაიღინდებს თუ არა რომელიმე ერში სურვილი ეროვნული წავისუფლებისა, მისი ჩაკვლა შეუძლებელი ხდება? .. დაუშეათ რომ მცირე ერები დარჩენენ დიდთა მოძრაობელებაში, განა ამით მოიგებს კაცობრიობა? რასაკვირველია არა, რადგან ასეთი მდგომარეობის დატოვება არის მუდმივი წყარო, საბაბი, არა თუ მარტო მიზეზი ლოკალური ომების, არამედ ბჟირად დასაბამი საერთაშორისო გართულებისა და ომის საშიშროებისა.. .

ჩვენი ეროვნული დღესასწაულის დღეს, ზემოდ მოყვანილი ზოგადი ჩანაფიქრი, სტულებით არ ამოწურავს ეროვნულ მოძრაობის სიდიადეს და სიძლიერეს.

26 მაისი კიდან მზა-მზარეულად არ ჩამოვარდნილა; იგი იშვა საუკუნეთა გასწვრივ ერთს პოლიტიკურ-კულტურულ შრომისა და ბრძოლის შედეგად. დამკვიდრდა კი ფრიად მძიმე საზოგადოებრივ ცხოვრების პირობებში.. .

26 მაისი დღეს, — დაჩაგრულ ვითარებაში,— ერთს ბრძოლის დროშაა, არა მარტო ტებილად მოსაგონებელი, მტრის ბანაკს რომ აფრთხობს და ქართველთა გულს ათბობს, არამედ ბრძოლის დროშაა, წინ რომ მიუძღვის ქართველობას გამარჯვების ნაპირზე.

3. საჩვენელად.

## კანონი ჩხეიძის თრადიცულად დაღუპვის

50 წელი გავიდა, რაც ტრადიცულად დაიღუპა ქართველი ერის დიდი ადამიანი კარლო ჩხეიძე, რომლის ცხოვრების გზა, მის უკანასკნელ წლებამდე, დაფნითა და დიდებით იყო მოფენილი; თუმცა ის, თავის ბუნებით, არც სახელის მაძიებელი, არც პატივმოყვარეობის მწყურვალე არ ყოფილი.

მორცხვი და მორიცებული, — უდიდეს იმპერიის ტრიპუნაზე წარგზავნილი, მალე გამოაშეარავდა, როგორც უსაშინელესი მტერი ძალმომრეობისა, სრულიად ორიგინალური ნიჭის პოლიტიკური ორატორი, იმ მცრელი, ბასრი, იუმორის პატრონი, რომელსაც ფრანგები მომაკვდინებელს უწოდებენ. ის შეიქმნა იმავე დროს საუცხოო ხელმძღვანელი საიმპერიო წარმომადგენლობის ერთ-ერთ პოლიტიკურ ჯგუფისა,. მისი მაღალი ზნეობრივი პიროვნება, მისი გამჭრიახი გონება, უცხოელთა პატივისცემა-სა და სიმპატიას იძყრობდა.

ჯერ კიდევ ოქტომბრის კატასტროფის წინ, მიაშურა კარლომ თავის ქვეყანას.

ახლად ალორძინებულმა ქართულმა სახელმწიფომ მას უდაოდ, შეიძლება ითქვას, ერთხმად არგუნა ორი უდიდესი თანამდებობა.

რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელობა ეკროპა-ში, ქართულ სახელმწიფოსათვის საერთაშორისო და საკაცობრიო უფლების მოსაპოებლად მისი ახლად განთავისუფლებულ ერისათვის. ამასთან მას დაეკისრა პარლამენტისა და დამფუძნებული კრების თავმჯდომარეობა. კარლო ჩხეიძე ორივე ამ თანამდებობას ღირსეულად ასრულებდა. უცხოეთში არავის სიტყვას არ ექნებოდა ისეთი ფასი და გავლენა, როგორც ჰქონდა კარლოს სიტყვას.

რაც შეეხება დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეობას აქ ხომ მას ბადალი არ ჰყავდა; მისებრ არავის შეეძლო უძნელეს სხდომის ჩატარება, პოლიტიკურ ენგაზალელვის დაცხრობა, მისი ხელოვნების პირველი დარგი იყო. აგრეთვე მისებრ არავის შეეძლო, ჩვენი ერის კრიტიკულ მომენტებში, გამოენახა დროის შესაფერი გამამ-

ხევებელი სიტყვები. აქ გავიხსენებთ ნოე ეორდანიას მიერ კარლოს პიროვნების დახასიათებას: „კარლოს არ ჰქონდა თავის „მე“. არასოდეს თავის ცხოვრების ამ მხარეს არ დაგვანახებდა, არავის ეტყოდა თავის გაჭირვებაზე. როგორ ცხოვრობდა კარლო; უჭირდა, აწუხებდა რაიმე, მისგან ვერავინ გაიგონებდა, ამას მის გულში იკლავდა. ამ თაობის გავება ახალი ხალხისათვის ძნელია, მათი ფსიხოლოგია ერთმანეთს არ ეკარება. ძველი ამხანაგები, თავისთავს გრძნობენ განმარტოებულად, ეულად. ისინი მხოლოდ საზოგადო საქმით ეკავშირებიან ნაცნობ-მეგობართ, მტერთ და მოყვარეთ.

ყველამ იცოდა რომ კარლოს აწუხებდა თავის ქალიშვილის სკებედი, მაგრამ ამას ის მაღავდა, კერძოს საქმედ მიაჩნდა და მასზე ლაპარაკსაც სხვების შეწუხებათ თვლიდა.

კარლომ ხელი აიღო ცხოვრებაზე, მარა სრულიად არ აულია ხელი საქმეზე, მისი უკანასკნელი სიტყვა იყო: „საქმეს მოუარეთო“.

აქვე გავიხსენოთ ირაკლი წერეთლის სიტყვიდან, დამახასიათებელი ადგილი:

„ამ ადამიანმა, რომელმაც აქ უცხოეთში, გაჭირვებული, მაგრამ გარეგნულად მშევიდ პირობებში თავის ხელით მოისწრაფა სიცოცხლე, თითქოს მას ძალა არ ჰქონდეს ცხოვრების განსაკდელის გადასატანად, იქ რევოლიუციის ქრტეხილში; საგარეო თავდასხმის მოლოდინში, სამოქალაქო ომის საშიშროებაში, სახალხო კრებებზე, აბობოქ-რებულ ქუჩებში უმაგალითო ენერგიის და სულის სიმაგრის თვისებები დაგვანახვა, არა თუ პოლიტიკური სიძნელენი ვერ სტებდენ, იქ იმ დროს მის ენერგიას, არა მედ ასეთივე გასეუცარი სიმტკიცით იტანდა ის იმ დროს თავის პირადი ცხოვრების ტრალიკულ განსაკდელსაც. ირ წერეთელი იგონებს ამ ტრალიკულ განსაკდელს, როგორც პეტროგრადში, ფრაქტის გაერთიანებულ სხდომაზე ამცნეს თავის ერთად-ერთი ვაჟის გარდაცვალება, მან სხდომა არ მიატოვა, რადგან თავის თავს ხალხის სამსახურში თვლიდა.

დიახ, 50 წელი გავიდა დიდი ქართველის, ერის საამაყო პოლიტიკურ მოღვაწის ტრალიკული დაკარგვის შემდეგ.

ახალთაობებმა უნდა იცოდენ, რომ უცხოეთში, პარიზის პერლაშეზის სასაფლაოზე განისვენებს აღამიანი, რომელმაც მთელი თავის სიცოცხლე ქართველი ხალხის სამსახურს შესწირა.



## მცირე ჟანიშვილი დიდ საკითხებზე

3 ე კ ი ნ — მ ო ს კ ო ვ ი . სარწმუნო წყაროების

ცნობებიდან უდავვდ სჩანს, რომ საბჭოთა მთავრობას, დაბანაკებული ჰყავს ჩინეთის საზღვრებზე მრავალრიცხოვანი ჯარი. ამჟამად მოსკოვის განზრახვაში არ შედის ჩინეთზე თავდასხმა, არამედ მისი ნეიტრალიზაცია. ჩინეთის მხრიდან, ციმბირზე გამოლაშქრების განზრახვის აჰკვეთა. მოსკოვის სტრატეგიული გეგმის ახსნა სხვამხრივ, შეუძლებელია გაეგბული იქნას. მაგალითად ფრიად დამახსინათებელია ამხრივ, საზღვაო—სამხედრო შეიარაღებულ ძალების თანდათანობით ზრდა სათანადო ბაზების დაპყრობა წყნარ და ინდოეთის ოკეანებზე, ხმელთაშუა ზღვაზე, რომ არ ესთქვათ, შავ და ბალტიის ზღვებზე, სადაც მისი ბატონობა კარგა ხნიდან დამყარებულა. დასაყრდენი პუნქტები: ადენში, სამხრეთ იემენში, სიჩიაში და ახლახან, დიდ პოლიტიკური და სტრატეგიული გავლენის მოპოება ანგოლის სახით. გულუბრყვილ შეუძლიათ წარმოიდგინონ, რომ საბჭოთა რუსეთისაგან გარშემოვლა ჩინეთის თუ ეკროპის ირგვლივ — ემსახურება ე.წ. დაძაბულობის შენელებას, ან კიდევ გადაჯერებას და მოსალოდნელი ომის თავიდან აცდენას.. ინ ღო-ჩინეთში სამხედრო, და ანგოლაში პოლიტიკური მარცხის შემდეგ, ამერიკა კვლავ ერყდნობა თანაარსებობის მითს, რომელსაც მოსკოვმა რეალური საფუძველი გამოაყალა. მის ხელში ის გახდა საბჭოთა საზოგადოების მოტ-

ყუილების იარაღი. საბჭოთა პრესა ყოველდღიურად აკ-რიტიკებს დასავლეთის საზოგადოებრივობას, თორემ საბ-ჭოეთი პირნათლად ახორციელებს თანაარსებობის იდეა-სო... ამაზე იტყვიან: „ჩემი შენ გითხარი, გული მოვი-კალიო“. მდგომარეობა საერთაშორისო ფრიად დამ ძიმე-ბულია ყოველ-მხრივ. რომლის სურათი ჩვენს მკითხ-ველს გადაუშალეთ ჩვენი უურნალის უკანასკნელ ნომერ-ზი. (იხ. „ჩვენი დროშას“ № 85-ში: „ცეცხლის კერანი“). უკანასკნელი დაუკმაყოფილდეთ ჩინეთის პრესის ზოგიერთ შენიშვნე-ბით, ამ ფრიად მწვავე საკითხზე. (იხილეთ „მონდი“ ამა-მაისის ნომერი).

„საშიშროება ევროპის კარზეა მომდგარი, საბჭოთა ჯა-რების 200 დივიზია მის საზღვრებზე იმყოფება. რაც მას შეუძლია ყოველდღე გადმოლახოს... ამავე დროს ხდება ფართო პოლიტიკური ოპერაციები: კომპარტიიები ცდი-ლობენ, რათაც არ უნდა დაუჯდეთ, ხელისუფლება ხელ-ში ჩაიგდონ, რის შემდეგ განმეორდება ის რაც პრალაში და ბუდაპეშტში მოხდა. საფრანგეთი, და იტალიის „მა-ნიოვრები“ უნდა გავრცელდეს იაპონიამდე, — ჩინეთის პირდაპირი. . .

თავის მოწილებაში ევროპის მიმართ, ჩინელები იმეო-რებენ სხვადასხვა საბუთებს, რათა მოსკოვმა მიაღწიოს აზერიკელების გასელს ეკრანიდან... ისინი ურჩევენ და-საცლეთის ქვეყნებს გააძლიერონ ატლანტიკის კავშირი, სანამ კიდევ დროა, ევროპამ უნდა მოიკრიფოს ძალა, რა-თა წინ აღუდეს საბჭოთა შემსევებს“. ყველა ფაქტორე-ბი იმას ამტკიცებენ, რომ ორ კომუნისტურ სამყაროს შო-რის, იდეოლოგიურ-პოლიტიკურ ფრონტზე გამწვავებას სარჩულად უდევს ტერიტორიალური საფუძველი. . .

საკითხავია თუ რატომ ასე თავგამოდებით აფრთხილებს ჩინეთი დასავლეთს, ნუ თუ, ის ასე დაინტერესებულია კაპიტალისტურ წყობილების, ან მისი ცივილიზაციის გა-დასარჩენად?

საქმე იმაშია, რომ ჩინეთი ჯერ-ჯერობით არ არის მზად არც მხედრულად, არც ეკონომიკურად; დრო კი მისთვის მუშაობს... და რატომ არ უნდა ვითქმიროთ, რომ ადრე თუ გვიან ატომიური იარაღები და ქვემეხნი ალაპა-რაკდნენ? რაც მთელ კაცობრიობას თავს დაატეხს საში.

ნელ რისხვის და უქადის მას მიწის პირიდან აღვას.

რამდენად მიუღებელი არ უნდა იყვეს ასეთი ვითადება, საბჭოთა კავშირში მომწყვლეულ ერთა ბრძოლის ტაქტიკა უნდა შეეფარდოს იმ მძიმე პირობებს, რომელიც შექმნილია მის გარშემო...

**ბომბობა, ხანძარი?** დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა ღიქტატურა, — შინაურ ფრონტზე შეეცდება იმ ძალების დამა-დამორჩილების, რომლებიც მისწრაფვიან ადამიანის უფლებათა მოსაპოებლად. უმთავრესად იმ მცირე ერთა შებოჭვას, რომლებიც იმრძვიან ეროვნული თავისუფლებისათვის, თუ ძალით მიტაცებულ სუვერენიტეტის კვლავ აღდგენისათვის; მათ ასალაგმავად ეგამორჩიული არა, მოსკოვისაგან დივერსიული მოქმედების ჩატარება, რათა რეპრესიული ზომებით მიაყენონ მცირე ერებს განუკურნებელი ფიზიკური ჭრილობები... ან კიდევ, ობიექტიური პირობები თვით რეპრესისტემისაგან შექმნილი ეკონომიური შევიწროება და პოლიტიკური დამონება, აღასებს მოთმინების ფიალს, ხალხს აიდულებს გაუთვალისწინებულ სახიფათო გამოსსელების მოხდენას. ორივე შემთხვევაში ზარალდება ეროვნული სხეული, — მძიმე შედეგებით...

აი ასეთი საბედისწერო პერსპექტივი უკარნახებს ერს ისეთი ბრძოლის მეთოდის აღებას, რომელიც შეძლებისა-სამერ უზრუნველყოფს, ეროვნულ სახეობას, სანამ დადგებოდეს უამი სრული განთავისუფლებისა...

რასაკვირველია ეროვნული თავისუფლების სურვილის გამეღავნება აუცილებელია, — ის პირობაც არის ერის საბოლოო გამარჯვებისა.. .

ერძოდ, ქართველი ერის სიბრძნე და პოლიტიკური სიმწიფე იძლევა სრულ იმედს რომ ის არ გაჰყება არც ავანტურის და არც დამორჩილების გზას და სხვა დაჩაგრულ ერებთან მჭიდრო კავშირში, — ის ღებს მიზანშეწონილ და მოქნილ ბრძოლის ტაქტიკას...

მოსკოვი და უცხოეთის კომპარტიიები. — ... იყო დრო, როცა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა წარმოადგენდა ერთფეროვან, იდეოლოგიურად შეკრულ ერთეულს, ე.წ. კომინტერნის მთავარი ხელმძღვანელობით. თითეული პარტიის წარმომადგენელი მოწყალებით და

მორჩილებით შესცემოდა მოსკოვს, მიეშურებოდა იქ სამოქმედო ინსტრუქციების მისაღებად, ზუსტად ასრულებდა დავალებებს.

დრონი იცვალენ.

ლენინისაგან შექმნილი ტოტალიტალური სახელმწიფოს ეკონომიკურ - სოციალურ - პოლიტიკური მართველობის სისტემისაგან შექმნილი ხალხის დამონება, ადამიანის უფლების სრული აღკვეთა, — ფართედ გადაიშალა ქვეყნიერების წინაშე. ამავე დროს დესტალინიზაციამ ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმამ და საერთოდ მისმა იმპერიალისტურმა პოლიტიკამ, რომელმაც იმსხვერპლა ორი ათეული ერი და განაგრძობს სხვა ერთა შინაურ ცხოვრებაში ჩართვის. უსათუოდ ჩააფიქრა უცხოეთის კომუნისტური პარტიები. უკანასკნელიდ, პორტუგალიის მაგალითმა კი, უფრო ნათელჲყო მოსკოვის ექსპანსიური ზრახვები.

იქაურმა კომპარტიამ, რომელიც დიდ უმცირესობას წარმოადგენს ერში. შეეცადა, ჯარის მცირე ნაწილით, სახელმწიფო აპარატის ხელში ჩაგდებას, რასაც წინ აღუდგა მთელი ხალხი, ეს უკანასკნელი აღმოჩნდა პოლიტიკურ სიმწიფის საქმო სიმაღლეზე და არ აპყვა კომპარტიის დემაგოგიურ ლოზუნებებს.

ინდუსტრიალურ ქვეყნების კომპერტიებმა აშკარად დაინახეს რომ საბჭოთა მართველობის „მოდელი“ მათი ქვეყნებისათვის მიუღებელია. ამ დროშით ისინი ვერას-დროს ელიტებიაში ხელისუფლების დაპატრონებას.

რუსეთის კომპარტიის საკავშირო ყრილობაზე მოხდა მათი ნამდევილი დემონსტრაცია კრემლის იდეოლოგიის წინააღმდეგ. იტალიის, საფრანგეთის ესპანეთის, ინგლისის წარმომადგენლებმა, გააკრიტიკეს საბჭოთა სისტამა; აღიარეს თითეულ პარტიისათვის, ადგლობრე, ქვეყნის პირობებთან შეფარდებული პარტიულ-პოლიტიკური ბრძოლის წარმოების აუცილებლობა და სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიების არსებობა და სხვ.

რუმინეთის, იუგოსლავიის, კომპარტიების წარმომადგენელებმა, თუ დემოკრატიულ თავისუფლების აღიარებაზე ხმა ჰქონდეს, არა ნაკლებ მოითხოვეს თავიანთ შინაურ საქმიანობაში სრული დამოუკიდებლობა. ასეთი პოზიცია აიღეს პოლონეთისა და უნგრეთის წარმომადგენლებმაც...

უცხო პარტიების, განსაკუთრებით დასავლეთის, იდე-  
 ური გადახრები სამართლიანად აღშფოთებს და აფიქ-  
 რებს ბრეენევ-სუსლოვს; მათ ეშინიათ, რათა დასავლე-  
 თის კომპარტიები არ მოექცნენ ლიბერალურ დემოკრა-  
 ტიულ გავლენის ქვეშ, და არ შემოიტანონ საბჭოთა ქვე-  
 ყანაში მოსკოვისათვის დამღუმველი ლიბერალური აზრე-  
 ბი, რომლებიც ძირს გამოუთხრიან რეაქტის.

იდეოლოგია უდიდესი იარაღია მოსკოვისათვის თავის  
 საგარეო პოლიტიკის გასატარებლად...

განა ჩეხიაზე თავდასხმა გამართლებული არ იქნა ე. წ.  
 „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ სახელით? ან  
 კიდევ, ანგოლაში შეყვანილი კუბის ჯარები ერთს გან-  
 თავისუფლების დროშით?

რასაკვირველია, დასავლეთის კომპარტიების ახალი  
 ტექტიკა ეჭვებს იწვევს, მას სთვლიან დროებითად, რათა  
 კომუნისტებმა შესძლონ სახელმწიფო აპარატის ხელში  
 ჩაგდება.

ეჭვები საბუთიანად მოსჩანს, თუ მივიღებთ მხედველო-  
 ბაში, რომ კომპარტიები, თავის შინაურ ორგანიზაციულ  
 წყობაში ვერ ითმენენ ოპოზიციას და აღიარებენ „ცენტ-  
 რალისტურ დემოკრატიზმს“. ამავე დროს, წინააღმდეგნი  
 არიან ევროპის პოლიტიკური გაერთიანების და საერთოდ  
 იზიარებენ მოსკოვის საგარეო პოლიტიკას...

მოსკოვი, ცხადია ყოველ საშვალებას იხმარს „ურჩი“  
 პარტიების შემოსაბრუნებლად, რამდენად ჩინეთის საფ-  
 რთხე იზრდება, იმდენად უფრო სჭირდება მოსკოვს,  
 დასავლეთში ყავდეს ერთგული მხარის დამჭერი.

საეჭვოა, რომ მოსკოვმა შესძლოს საზღვარი დაუღის  
 უცხო კომპარტიების იდეოლოგიურ გადახრებს, — რამ-  
 დენი დრო გავა, ისინი კიდევ უფრო გალრმავდება.

მონოლითური კომუნისტური მოძრაობა წარსულს  
 ჩაბარდა.

ა. ბადრიძე.



## საჩვენებლის დეპარტამენტი

საბჭოთა საქართველოში გრძელდება კამპანია ქრისტიანული რელიგიის, ანუ ზუსტად რომ ვთქვათ, ქართული ეროვნული ეკლესიის წინააღმდეგ.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიტატის კასრაძის სტატია, რომლის სათაურია: „ანტირელიგიური მოტივები მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედებაში“, საქართველოს „კომუნისტის“ 1976 პირველ ნომრებში.

კომუნისტური პრესა თუ როგორ ცდილობს კომუნიზმის სამსახურში ჩააყენოს ქართული მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება და სხვა სულიერი დარგი ერის შემოქმედებისა. ახლა უნდათ ქართველი მწერლები და ისიც მე-19 საუკუნის ჩვენი ეროვნული მწერლები და კლასიკოსები მოაქციონ ანტირელიგიურ საქართველოში. ესლა ცელდა ჩვენს ეროვნულ მწერლობას და ამასაც მოესწრო იგი. ამ შემთხვევაში პირველია კასრაძე, რომელსაც ეს დიდი მოვალეობა დაეკისრა.

მაგრამ სანამ ათეიისტი პირდაპირ ქართველ მწერლობაზე მოვითხრობდეს, კასრაძე დამდგარა გზაჯვარადინზე და ყველა გამვლელ-გამომვლელს ხმა მაღლა ეკითხება: მართლა არის თუ არა ღმერთი, როგორც ამას ხალხს ექლესია შთააგონებს? და იქვე გაბედულად თვითონვე უპასუხებს: რა თქმა უნდა არ არის!

წარმოიდგინეთ კითხვა, რომელიც დასაბამიდან არ გადაჭრილა, კასრაძემ ერთი კალმის მოსმით, გადაჭრა ეს ურთულესი პრობლემა; ღმერთი არ ყოფილა თურმე, მორჩა და გათავდა! ამაზე მეტი წინსვლა მეცნიერებისა მონაგონია ღმერთმანი.

ჩვენ არა ერთხელ ვეისაუბრით მეითხველთან სარწმუნოების საკითხზე და ვეითქვამს, რომ ღმერთის არსებობის თუ არ არსებობის საკითხს არ ამტკიცებენ, რადგან უძლურია ასეთი მტკიცება, ღმერთი რწმენის საკითხია, და ის რაც აღამიანს სწამს, ის ამის დამტკიცებას არ საკიროებს.

ახლა კასრაძე მიმართავს თავისი ანტირელიგიური თუ ათეიისტური დებულებათა დასამტკიცებლად ქართულ მე-19 საუკუნის ქართველ მწერლებსა და პოეტებს და წარ-

მოიდგინეთ წარმოუდგენელი, თურმე, ილია ჭავჭავაძე თაეიდან ბოლომდე ათეისტი ყოფილა. აი საოცრება თუ გინდათ, სწორედ ეს არის. ილია ათეისტი? და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ადგილები ილიას „გლახის ნაამბობიდან“; ღმერთს არ შეუსმენია თურმე, მებატონის მიერ გაციმბირებული პაპის ვედრება და სხვა.

კასრაძეს მოჰყავს შემდეგი გამონათქვამი ილიას ლექსიდან:

კაცი ძლიერი პქრება,

რა ეწვევა მას სიკედილი—მტერი,

მშენიერ არსის მაგიერ გვრჩება

ერთი მუქა-ლა გამხმარი მტერი.

მერე რა არის ამაში უცნაური? სახარებაც გვეუბნება:

„მიწა ხარ და მიწად იქეციო“.

ამის გამო ყოფილა თურმე დიდი ილია ათეისტი!

და ისიც ათეისტად გამოიყვანა, მერე როგორ ათეისტად?

კასრაძემ მეორე ჭავჭავაძეც არ დააყენა საფლავში, ეს არის ჩვენი რომანტიკოსი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, მებრძოლ ათეისტად! და მოჰყავს მისი ლექსი:

მინდა ვსეა—სალვინე მამე,

მოძლავრო, დასტური დამე!

წყლის ყლაპვა ცოდვილთ წესია,

წარლენაა ამის მოწამე...

სრულიად უადგილო ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ ლექსის მოყვანა, პოეტის ათეისტად გამოსაყვანად. ერთი რომ მსოფლიო წარლენა არ მომხდარა იმის გამო, რომ ადამიანებმა წყალი სვეს და მეორე, ასეთი არგუმენტი ათეისტობის დასამტკიცებლად, უნდა გითხრათ, სიმართლე უძლურია და არა დამაჯერებელი.

ძალიან შორს მიდის ჩვენი მკვლევარი კასრაძე, როცა ათეისტად გამოჰყავს ნიკოლოზ ბარათაშვილი და იშველიებს „მერანს“ ულმერთობასთან, იქნება გვითხრას საცოდავმა ადამიანმა კასრაძემ.

კასრაძეს არ მოსწონს „ლოცვა“ და ვედრება ღვთისადმი და ეს თურმე ეკლესიას დაუწესების გლეხის გონების დასახმობად. მაგრამ რატომ ავიწყდება კასრაძეს, რომ ადამიანი გაჭივრებისას სწორედ ღმერთს, უზენაესს, მასზე დიდს მიმართავს საშელად და არა პარტკომის მდივანს. ეს ხომ ჩრდების საკითხია. გლეხი იმას მიმართავს ვინც

სწამს, მისგან მოელის ხსნას, და თუ საყვედურით არის, ხანდისხან გამსჭვალული ეს განა ათეოზმია? პირიქით; იგი საყვედურით მიმართავს იმას ვინც სწამს.

მწერალ ნიკო ლომაურის ათეიისტობის დასამტკიცებლად კასრაძე იყენებს მოთხრობა „ალს“. ბევრს ამაზე არაფერს ვიტყვი. უკეთესია კასრაძემ განაგრძოს! იგი შემდეგ სტატიაში, მხოლოდ ვიტყვი. რომ ალების, ქაჯების, ოჩოკოჩების, ჭინჯების და მათი მსგავსის გამოყენება მოთხრობაში არ იძლევა იმის საბუთს, რომ ნიკო ლომაური, ჩვენი ხალხოსანი მწერალი ათეიისტი იყო.

ძველად, ქართული ტყე ეროვნული მეურნეობის სიამყე იყო. მდიდარი იყო იგი ღვთის მონაცემით იყო შიგ აუარებელი ტყიური სასარგებლო და უსარგებლო—ჭინჯებიც, ოჩოკოჩებიც, ტყაშმაფაებიც, მაგრამ ამას არაფერი აქვს საერთო რელიგიასთან და ქართული ეკლესია და მისი მესვეურები აქ არაფერ შუაში არაა. ეს ყველაფერი შექმნილი იყო ხალხის ფანტაზიით. დღევანდელი ქართული ტყე მავნელებისაგან ისე გაჩეხილია, ოჩოკოჩი კი არა ადამიანი ვერ შეაფარებს თავს. ხალხის მიერ შექმნილ ფანტაზიებს ფართედ იყენებდა ჩვენი მწერლობა, მაგრამ იგი ამით არ ყოფილა ათეიისტი.

თუ დაუჯერებთ კასრაძეს, თურმე, სოფრომ მგალობლიშვილიც ათეიისტი მწერალი ყოფილა. როცა კასრაძის ამ წერილს ვეცნობოდი, გამასხენდა ერთი შემთხვევა, რასაც ამას წინად დაგილი ჰქონდა მსოფლიოში, ცნობილ გერმანულ წარმოშობის ატომფუზიკოსთან ბრაუნთნ, რომელიც ატომის მამად ითვლება. მან საუბარში თქვა: „შეუძლებელია ამ სამყაროს წარმოშობა თავის-თავადო“. ამ დიდ მეცნიერს ღმერთი სწამს და ეს რწმენა ღვთისადმი განა ხელს უშლის მეცნიერებას? დიდი კომპოზიტორი ბახი სანამ წერას შეუდგებოდა ღმერთის შეეცვალებოდა, დიდი ფრანგი მაცნიერი პასკალი მორშუნე იყო და რამდენი ერთი ჩამოვთვალო.

აი რას წერდა სარწმუნოების შესახებ ცნობილი მაძულიშვილი, მეცნიერი და მოაზროვნე მიხაელ წერეთელი: „ნუ დაგმობს ახალაზრდობა სარწმუნოებას და ნუ ებრძის ეკლესიას. სარწმუნოება მოთხოვნილებაა ადამიანის სულის დასაბამითვან და იქნება უკუნისამდე, სანამ

მსოფლიოში საიდუმლოებანი იქნებიან, რომელთაგან ყოვლის ხილვა და გაგება კაცის გონებას არ ძლევს. საქართველოს ეკლესია ეროვნული იყო, არ ყოფილა იგი ფანატიური, არ ყოფილა იგი აზრის მდევნელი და ინკვიზიტორი“. — ამბობს მეცნიერი.

მინდია ლაშაური.

### კათალიკოსის კურთხვება

ბევრი ბრწყინვალე და ბევრი შავი დღეები უნახავს საქართველოს; მის ეკლესიას, ბევრი სასახელო პიროვნება ყოლია საკათალიკოსო ტახტზე მივლინებული სასულიერო წოდებას · ჩევნში, მაგრამ რაც ამ წელს მოხდა, ასეთი ამბავი ჯერ არსად ნახულა, საუკუნოების განმავლობაში.

ქართველი ერი რუსის ტყვეობაში იყო, სასახელო მამულიშვილებთან ერთად სამღვდელოებაც იდევნებოდა. მრავალ დევნილთა და წამებულთა შორის იყვნენ შესანიშნავი ღვთისმეტყველი, განსწავლული ანტონ კათალიკოსი და , რუსეთში გატაცებული, წამებული ეპისკოპოზი ქუთათელი, რომელიც რუსებმა გზაში მოახჩვეს.

ტაძრები იყარსებოდა, პატიოსანი და ლირსეული მამები ციმბირში იგზავნებოდა. იგივე გაიმეორეს და კიდევ უფრო ველურ ფორმებში, ხელახლა შემოსულ გაწითლებულ რუსეთის ავენტებმა. ყოველგვარი თავისუფლება მოსცეს, მაგრამ მზაკვრული პოლიტიკით სამღვდელოებას ერთად შეკრების ნება და კათალიკოსის არჩევის უფლება მისცეს.

საკათალიკოსო პიროვნება დაასახელეს დასაცელეთ საქართველოში შეკრებილმა, რამდენიმე ასმა არჩეულმა სამღვდელო დელეგატებმა სასახელო გელათის მონასტერში...

1921 წლის ზაფხულში, სამხედრო ბანაკად ქუსული თბილისი არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. დილიდანვე ანაფორიანი სამღვდელოება და დიდადი ქართველი საზოგადოება, თბილისის სადგურისაკენ მიიჩქარდა და მათში შეამჩნევდით გერმანიის ელჩს რაუ-

შერს, იტალიის და სხვა უცხო წარმომადგენელთა პირებს, მოხელეებით. სადგურზე მათ ხელებოდათ საპატიო ბოლშევიკური კომისარები, ძაბრიანი ქუდებით, საიდანაც სტუმრები და სამღვდელო პირები, წითელი ხავერდით მოგებულ კიბე-იატაკით გაყავდათ განსაკუთრებული სადგურის ბაქანზე, სადაც საგანგებო მატარებელი იყო ჩამოდგარი. შიგ წესიერად და თავაზიანად სამღვდელოება, უცხო სტუმრები და მათი მიმყოლი საზოგადოება შეყავდათ... შემკრთალი სამღვდელოება და გაკვირვებული საზოგადოება მცხოვრის სადგურის წინ მიიყვანა მატარებელმა, საიდანაც ავტომობილებით, ეტლებით, ფეხით, დიდებული კარი-ბჭეს მიადგენ. სევტიცხოველის განიერეზოში გაიშალნენ. დიდის გულმოდგინებით ათვალიერებდნენ უცხოელები ძველისძველ ქართველ ერის საამაყო ძეგლს, მცხოვრის, ჩუქურთმებით მოხარატულ ტაძარს, გარეშე მოვლებულ ქედმალალ ბურჯებს, შორს არავმტკვარს, მალლა, ფრიალო კლდეზე წამოდგმულ ჯვარის მონასტერს.

საპატიო უცხო სტუმრები, სამღვდელოება, მონაზნები, ბერები, წმინდა ნინოს მონასტრის ილუმენი, რივ რიგობით ტაძარში შედიოდნენ; დელეგატებს, წარმომადგენლებს, საზოგადო მოღვაწეებს ტაძარში შესაფერ ადგილს უჩენებდნენ მოწესრიგენი... .

თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენდა კელეპტრებით გაბრწყინვებული საკურთხეველი, შესაწირავი სანთლებით მოცემული ალსავალი კარები, მაღალი და განიერი ახატული სვეტები, საუცხოვოთ გადაყვანილი თაღებით, რომლის შეღებილი კედლებიდან ნათელი, იმედიანი თვალებით მოგჩერებიან სასოების და იმედის მომგვრელი თვალები და სახეები... .

ერთი, წმიდა ნინოს, ჯვრით ხელში, შემოხედვა რად ღირს! რომელიც ექლიან გზაზე, სამხიარულოდ მოვიწოდებს. ხელგაწვდილი თამარი, მშვენიერების სხივს გაფრქვევს; წმიდა გიორგი თავის შუბით გველეშაპის მოკვლის გვიჩვენებს უმწეო ქალწულის დასახსნელად საბრძოლველად გვიწვევს... შეუა ტაძარში იატაკს დასხერებიხარ, წარწერას კითხულობ: გმირი ერეკლე, პატარა კახის აქ განსვენებას გაცნობს — მტრის წინაშე არ შედრკეო, — გამხნევებს.

აღსავლის კარებზე კრეტსაბმელი გადაიწია, ოლარით ჯვარედონათ შემოსილმა მთავარდიიაკონმა, საკურთხევა-ლის წინ ჯვარივით თითები გამოსახა. მაღალი ბოხი ხმით ღვთისადმი ვეღრება იწყო, თითქოს ცაშ პირი დააღოვო, აღსავლის კარები გაიღო, სანთლებით ვაბრწყინ-ვებული საკურთხეველი მლოცველებს გამოუბრწყინდა, რომელზედაც ჯვარული ქრისტე დიდებით შვენოდა, ტანჯულ კაცობრიობას ამხნევებდა. შემოსილი სამღვ-დელოება, გვირგვინით თავშემკული ეპისკოპოზები ტრა-პეზს გარს უვლიდნენ.

კაცობრიობის დასახსნელად, გოლგოთაზე წამებულს გუნდუკს უკმევდნენ. სულისა და გულის დამატეობელი კახური გალობა ტაძარში გაისმოდა, კათედრალის მაღალ თალებში გუგუნებდა, შუა ტაძარში, საგანგებოდ მაღალ ამბიონზე, ამბროსი შემოსილ ეპისკოპოზებს აჰყავდათ, თავზე საქართველოს საკათალიკოსო გვირგვინს ადგამდნენ, რომლის ქვეშ, თოვლივით სპეტაკი სახე, გაბრწყინებული, სათნოებით აღსავს ლირსეულად შვენოდა, ერის კვარცხლბეკზე გადმომდგარი დიდებით იმოსებოდა.

რამდენიმე ათეული სამღვდლო პირები, ცალ-ცალკე ჯგუფებათ გარშემომდგარნი მღვდლები, ბერები, მონაზნები, ანთებული კელეპტრებით ხმამაღლა აქსიოზს გაიძახდენ, ეპისკოპოზები ლოცვანენ ხელდასმით; თავზე გვირგვინს ადგამდნენ, ოსანას უგალობდნენ, რამდენი საათის განმავლობაში, ლოცვა ვეღრებით საქართველოს საკათალიკო გვირგვინით ამკობდნენ.

ტაძარში სხვადასხვა მგალობელთა გუნდი გუგუნებდა, აქსიოზს ძანილით ყურთასმენა აღარ იყო. დალლილი საზოგადოება ფეხზე ძლიერ იდგა, უცხო საპატიო სტუმრებს სავარძლები მიართეს; მათ დაბრძანება არ ინებეს. დიდი წნის შემდეგ, კურთხვის წესი დამთავრდა, საქართველოს კათალიკოსი ამბროსი, მთელი ერის წინაშე გამობრწყინდა, ვითარცა ოქროპირმა სამწყესოს და ტანჯულ ერს თავისი ტკბილი ხმით მიმართა.

საზოგადოება ტაძრიდან გალავნის მწვანე ეზოში გაიშალა, სამღვდელოებამ საკურთხეველის მეორე ოთახში, შესამოსელი გამოიცვალა, ეზოში, საზოგადოების წინაშე კათალიკოს ამბროსის წინამდლოლობით გამობრძანდა, სა-

დაც მათ აღფრთოვანებული შეეგებენ, მათთვის საგან-  
გებოთ დადგმულ სავარჩლებში ჩაბრძანეს. . .

უცხო სტუმრების პატივსაცემად და საზოგადოების გა-  
სართობათ, ქართულმა „შევარდენმა“ გაშლილ მდელო-  
ზე, რამდენიმე სხვადასხვა ტენცარჯიშობა ითამაზა დაძ-  
მა ნიკოლაძეების მეთაურობით, რასაც სასულიერო პი-  
რები მორჩილებულად, კაბლვით უყურებდნენ ახალგაზ-  
რდა ქალვაჟთა ნაკვეთიან ტანთარხევას, ჰაერში ლამა-  
ზად გაწვდილ ხელფეხის ხაზებს და მაღლა, რკინის სა-  
ხელურებზე მელებივით ტრიალს, რომელსაც უცხო სტუმ-  
რები და საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავდათ.

ამის შემდეგ, წმიდა ნინოს სკოლის განიერ და გრძელ  
აივანზე, უცხო სტუმრების, კათალიკოსის, სამღვდელოე-  
ბის პატივსაცემლად გაიმართა ქართული ნადიმი, ქართ-  
ველ მოღვაწეების ხელმ.ღვანელობით, რომლის დროს,  
ჩვეულებრივი, შესანიშნავი სიტყვები წარმოითქვა, რო-  
გორც ქართულად ისე უცხო ეხაზედაც. მეორე გრძელი  
სუფრა გაშლილი იყო აქვე ტაძრის ეზოში, რომელსაც  
თამადა განაგებდა და თბილისის ვაჭრებისაგან, საგანგე-  
ბოდ მოტანილი ყოველნაირი სამელ-სანოვაგე ამჟობდა.

ჩვენს მწუხარე დღეებში და პანაშეიდებში, ეს იყო ერ-  
თად ერთი დღე სადაც ქართველი ხალხი, ძველის ძველ  
დედა-ქალაქში შეიკრიბა, რომ კათალიკოსის კურთხე-  
ვით, წამით გულს უამი გადაეფარა.

ხელისუფლება ამ არჩევნებით და კათალიკოსის  
კურთხევით ფიქრობდა ლირსული სასულიერო პირები  
თავის გავლენის ქვეშ დაეყენებია, მით თავის მზაქერული  
პოლიტიკა ეწარმოებია, ხალხი გაეთიშა, თვით ებატო-  
ნებია.

ბოლშევიკები შემოსვლისთანავე ეროვნული მთავრო-  
ბის და მენშევიკების გინებას შეუდგნენ, რასაც ხალხი  
მტრულად და ზიზღით, სასტიკი პროტესტებით შეხედა;  
საქვეყნოდ, მისი პოლიტიკა სამარტებინო ბოძზე გააკრა.  
ხალხისაგან გარიყული, — — სამღვდელოებას ელაქეცე-  
ბოდა, რომ შემდეგში, მოხერხებულ დროს სასულიერო  
პირებიც მათი ეკლესიანა სულიან ხორციანად გაეძარ-  
ცვათ.

მაგრამ მტარვალი მწარედ მოსტყუდა. ქართველი სამ-  
ღვდელოება, ხორცი ხორციანი, და სისხლი სისხთაგანი,

იყო ქართველი ერის, ვისაც თავისი ჩრდილი პატივისცემა სურს. იგი სხვის ჩრდილი, მის თავისუფლებასაც პატივს უნდა სცემდეს, ეკლესია, ჩრდილი, ლოცვა ადამიანის საუკთარი სინდისის საქმეა, მისი ხელუხლებელი საუნჯეა. წითელ რუსებმა და მათ კაცუნებმა ეს სულიერი საუნჯე, მოჩრდილები თავშესაკრები წმიდათა წმიდა შეურაცხყვეს, წაბილწევა. ვამები „ჩეკაში“ გამოამწყვდიეს, სოფლებში ქურდულად მოკლეს, აწამეს, ძეირთასი ხარები გაძარცვეს.

1922 წელში, თბეკრეალში, ყველა ამით შეძრწუნებულმა მწყემსმთავარმა კათოლიკისმა ამბროსიმ, საქართველოს ეკლესიის ღირსეულმა მემკვიდრემ ხმა აიმაღლა ამ გაუგონარი ბარბაროსობის წინააღმდეგ მთელ ერთაც.. მან თავის შესანიშნავი მემორანდუმით გენუის სამშეიდობო კონფერენციის მიმართა; ბოლშევკიების საზიზლარი მოქმედება საქვეყნოდ დასანახი გახადა, მოქალაქეობრივი გაბედულობით დაპგმო. როგორც ჭრიალი მობრივი მამის ხმა, მთელ განათლებულ კაცობრიობაში გაისმა. წითელი რუსის დამქაშებმა საქართველოს კათალიკოსი შეიძყრეს, ქართველი ერის სხვა საუკეთესო შვილებთან ცოხეში გამოაწყვდიეს და მით მთელი ერი სამუდამო გადაიყიდეს, მტრის წინაშე დარაზმეს.

კათალიკოსი ამბროსი თავის თეთრი წვერით, გაშლილი სახით, როგორც ჭრიალი ქრისტიანს შეფერის ისე ქედმალლად, სასორებით და სათნოებით აღსავსე იჯდა საკანში და გარემოს აცისკრონებდა, ნათელს ფენდა, ყველას გულს აკაცებდა. მთელი ციხე, ჯურლულში ტანჯული ტუსალები, კათალიკოსის იქ ყოფნას გრძნობდნენ მხნევლებოდნენ. იყო შემთხვევები, როცა სასეირნოდ ან საექიმოდ წაყვანის დროს, ჩამესრილ რკინის ფანჯრებიდან მის მშვენიერ გაბატრულ სახეს თვალს მოკრავდნენ ტუსალები, მათში სიცოცხლე იღვედებდა, თვალებში სიხარულის ცრემლებით ევსებობდათ.

მე ვნახე ის მანდილოსნება, რომელთაც ამბროსის რეკინი მესრებში თვალი შეასწრეს: კათალიკოსმა გაგვიღიმა, მძივის კრიალოსანი ხელში შეათავაშა, მარჯვენა ხელით ჯვარი გადმოვგვახა, გაბრწყინებული თვალებით სულში ჩაგვანათა, სიხარულით აღვავსო, ჭრიალი მშვენიერების სხივებით შეგვმოსა. ასეთი გამამხნევებელი ყოფით გაატარა

ამბროსიმ ციხე და ვითარცა გასხივესნებული მოძღვარი, კეშმარიტების მღალადებელი სულიერი მამა წარსდგა სამასხარო გასამართლებაზე.

სად არის ბოროტებავ, მზაკვერობა შენი! სად არის სირ-ცხვილო, სიწითლე შენი! ამბროსის სამართალი, მისი სინ-ლისი, მისი ნამუსი იყო, მისი საბრალდებულო სკამი, მისი საკათალიკოს ტახტია, მისი გასამართლებელი შარავან-დედით გაბრწყინებული ეკლესია, და მისი შემქნელი მარადიული ქართველი ერი — მისი უკვდავი სული.

სიმართლეს დაცა რად უნდა! მშენებერების დაცვით თავი ისახელეს, ღირებულმა, გაბეღულმა დამცემელებმა და რამდენიმე დღის ყოვლად. სამარცხინო მოპყრობა, მოქცევისა, ვითარცა ტალახში შემთხვევით ჩავრდნილი მარგალიტი, მამა ამბროსი თავის სამწყოს დაუბრუნა ვი-თარცა ცხოველმყოფელი, ამომავალი მზის სხივი, სიონის ტაძარში ერის გულის გასახარებლად გამობრწყინდა.

ეს სამარცხინო „გასამართლება“ შედგა 10 მარტს 1924 წელს. ვითარცა იერუსალიმში შემავალი იქსი ნაზარე-ველი. ისე ეგბებდოდა მთელი თბილისი, ტყვეობიდან ახ-ლად განთავსუფლებულ საქართველოს კათალიკოსს ამბ-როსის. სიონის გარშემო ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი, სიონის ეზო, კარიბჭე და შიგ ტაძარში განძრევა არ შეიძლებოდა. მოწესრიგენი სიონის გარშემო ქუჩებში ხალხს ძლიერ იყავებდნენ...

კათალიკოსს რამდენიმე სამღვდელოება მოაბრძანებდა, ხალხი ოსანს უგალობდა, ყვავილებს ფეხ-ქვეშ უფენდა, მანდილოსნები თავსაბურს, თავშალს ფეხწინ უგებდნენ, მის სამოსელს ეამბორებოდენ...

ვითარცა კეშმარიტებისათვის ჯვარცმული მკვდრეთით აღმდგარი იქსისტე, ისე გამობრწყინდა თვალივით გათეთრებული ამბროსი ხალხში. ცრემლ მორეული თვა-ლებით მიესალმა, სიმართლის კვერთხი მარცხენა ხელში მოიმარჯვა; მარჯვენა ხელით ჯვარი გადასახა. ახლომ-ყოფნი მის მარჯვენას ეამბორობოდენ, ფეხებში უგარდე-ბოდნენ მეტანის უშობოდენ. ჩეენო მამაო, ჩეენო მოძ-ლვარო, სულიერო მეცვე ტანჯულო და წამებულო ამბ-როსი, მკვდრეთით ამდგარო, ჩეენდა მხსნელად ცით მოვ-ლენილო. გვაკურთხე მეუფეო იმოდა მოზღვაცებულ ხალხში; მთელი საზოგადოება ბავშვებივით გულამოსკა-

ნილი ქვითინებდა... მთელი წლის განმავლობაში წამებული ერის გული გათბა, კაცობრიობის სიყვარული წამით ივრძნო; ამბროსის გასხივოსნებულ სახეში გაკაეუბული იმედის ძალა აღმოაჩინეს. ჯოჯონხეთად ქცეულ გარემოში, სიცოცხლის ნიშანი გამოკრთა, მის მოწამლულ სულში ჩაანათა, სადღაც გულის სილრმეში აღამიანური სითბო გაჩნდა, მაინც სიცოცხლე კიდევ შესაძლებელიაო, ხმა მაღლა წარმოოთვა... .

სიონის ტაძარში, „ჩეკისტების“ მიერ ნაწამები კათალიკოსი, სამღვდელო კრებულით წირავდა, ნახევრად მუხლების მოყრილისაზოვალება ნამტირალევი თვალებით მიჩირებოდა; თვალებში სანთლების შუქი დილის ცვარ-ნამებად კრომდა; საყვარელ შეიღების, დახვრეტა-წამებით, უდროოდ დამჭერარ, დაღადრულ ლოყებზე, ვითარცა დამდნარი სანთლელის ღვენთი, ისე ცოცხლად ჩამოდიოდა კურცხლები.

ქართველი ერის განაწამები სული აქ იშვებდა, იოხებდა სარწმუნოებრივი გატაცებით, გავარვალებული თვალებით, ამბროსის ლოცვა - ვედრებას ისმენდა. კათალიკოსი დღეს, მშირველი არ იყო, ის დღეს მლოცველს, ღვთისაღმი მავედრებელს უფრო გავდა.. ამბროსი თავის სამწყესოს კარგად იცნობდა; ქართველი ერის სულიერი ზრახვანი მისთვის ცხადი და ნათელი იყო. ამბროსი აქ, მთელ ერს ღმერთს ავედრებდა, ხეალ კიდევ უარესი დღე არ დადგომდა.

კათალიკოსმა მოსული მტრის ბუნებაც კარგად იცოდა და მოსიყვარულე მწყემსი, როგორც სულიერი მამა, უზენაესი შემეცნებით გრძნობდა, რომ მტერი ამ დახვრეტა-წამებით არ დაკმაყოფილდებოდა, და ეს დედების, მათ შვილებზე ნამტირალევი თვალები, საქართველოს საერთო უბედურებად გადაიქცეოდა, მან საქართველოს ვაჟ-კაცების თავმოყვარეობაც კარგად იცოდა, რომ მტერი ამ ზვიად ბუნებას შეეხებოდა და უთანასწორო ბრძოლაში ჩაითრევდა; ქართველ ერს ხელში იარაღს ააღებინებდა. ამიტომ იყო, ამბროსიმ მთელი მისი გაელენით, ავტორიტეტით, საკათალიკოსო მაღალ ტახტიდან მთელ განათლებულ კაცობრიობას, პატარა ასაინდ საქართველოს სახელით მიმართა, მაგრამ გარდა ზნეობრივ, მორალურ გამხნევებისა, რეალური დახმარება ვერ მიეოღეთ.

ორცა ამბროსი ციხიდან გამოვიდა ის კიდევ უფრო დარწმუნდა მტრის მზაკვრულ ზრახვებში: ამბროსი მიხვდა ქართველი ხალის ერთიანობას მტერი ვერ დაშლის, მის სიმტკიცეს ვერ შეარყევს და ის შეეცდება ქართველი ხალხის იარაღით ხელში გამოწვევას.

იo აქ, ამ აღტაცებულ შეხვედრაში, ცრემლით სავსე თვალებში, მის სილრმეში, მისი უუდიდესი ადამიანური ბუნება გრძნობდა, რომ ამდენ სასახელო შეიღების დახურების, სამშობლოს განადგურებას, პირად და საერთო შეურაცხოფას ქართველის ბუნება დიდ ხანს არ აიტანს, მტერიც ამას ცდილობს და... ჭირზე ჭირი მოგვემატება, ცეცხლზე ნაეთი დაგვესხმება... ამას გრძნობდა ერის მოსიყვარულე მამა და ციხიდან გამოსვლისთავე. ამაში უფრო დარწმუნდა დღეს.

ამიტომ იყო რომ კათალიკოსი დღეს უფრო მლოცველს ჰგავდა ვიდრე მწირველს.

ამბროსი 1924 წელს გაზაფხულზე, ახლად ციხიდან გამოშვებული, წირვაზე გავდა გეთსამანის ბაღში მლოცველ მამა ქრისტეს ღმერთისაღმი მავედრებელ მაცხვარს, რომელიც გაწამებული სულით ამბობდა: „წარვლინე, წამხოც ესასმისი ესე, თუ ეს შესაძლებელია“.. შემდეგ მოციქულებს ამხნევებდა: „იღვიძებდეთ რათა მოახლოვებულ არს სასუფეველი ცათაო“. ამ დროს, იუდას უკავე შემოკვავდა მტრის რაზმები სიმართლის მღალადებლის შესაპყრობად. ასევე სიონის ტაძარში, გაწამებული ქერთველი ერი უკანასკნელად ეამბორებოდა მის საყვარელ სასიქადულო სულიერ მამას ამბროსის, რომელიც უზენაესი შემეცნებით ხედავდა აგვისტოს მოახლოვებას, საბედისწერო დღეებსაც..

† ვლასა მგელაძე.

(† თამარ პაპავას ხსოვნას).

- |                    |                  |
|--------------------|------------------|
| დროს წინ მიუძღვის  | ქართული ენა      |
| მამა-პაპები,       | მზის მარცვლები   |
| ჩაუქრობელი         | დალგრილი თესლად! |
| ბრძოლის ლამპებით,  | წიგნში ჩამდგარი, |
| ჩირალდანობდენ      | ყოვლის მოწმე     |
| ქართლის ამბები     | ნათქვამი ლექსად. |
| ოც საუკუნის        | — [:] —          |
| გადალანდებით!      | ქართული ენა      |
| ენა მოჭრილი —      | ქრისტე-ლმერთის   |
| ენა აღგმული —      | რჩეულ გუშაგად,   |
| ჩაუქრობელი         | ვაზისა ჯვარი,    |
| სიტყვა ქართული,    | წამებული         |
| ასე კით ხმალი      | წმიდა შუშანა.    |
| ფარნაოზისა         | — [:] —          |
| საუკუნებზე         | ქართული ენა      |
| გადამართული.       | უამთა მთქმელი.   |
| — [:] —            | უამთა მნახველი,  |
| ლეგენდად დაჭყავა   | ვეფხის ტყაოსნის  |
| ქვესა და ლითონის:  | გადამრჩენი,      |
| ქართული მოდგმა —   | შემომნახველი.    |
| ქართული ენა —      | — [:] —          |
| პირველი ცერია —    | ქართული ენა      |
| პირველი ხილვა, —   | მოსაუბრე         |
| ჩვენი სიცოცხლის    | გლეხის ბუხარი,   |
| გული და სმენა.     | სიბრძნე სიცოცხის |
| — [:] —            | სიტყვის კონა —   |
| ქართული ენა        | საბა სულხანი.    |
| ამაზონთა მომიზნული | — [:] —          |
| ოქროს ისარი,       | ქართული ენა      |
| მერანთა ქროლვა —   | ჩვენი ქვეყნის    |
| კოლხიდის ცა —      | სიტყვა — აზრები, |
| შვილდ შემართული    | დედად შობილი     |
| ბრძოლა მზისანი.    | და შვილების      |
|                    | დედად გამზრდელი. |

გ. ყიფიანი.

## † თამარ პაპავასი

არგენტინიდან მივიღეთ ფრიად სამწუხარო ქნობა. გარდაიცვალა ლვაწლმოხდილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქნი თამარ პაპავა.

ამ მოკლე ჩანაწერით სრულებით არ ვფიქრობთ და შეუძლებელიც არის მისი პიროვნების დახასიათება და მისი მოღვაწეობის დაფასება.

ფასდაუდებელია ის განძი, რაც მან დაუტოვა ქართველობას, მომავალ თაობებს, რომლებიც მუდამ დიდის მოკრძალებით და პატივისცემით მოიხსენიებენ მას, როცა გაეცნობიან მაღლიან კალმით გაცუცხლებულ იმ ბრწყინვალე ქალების სახელებს, რომლებიც იბრძოდნენ თავგამოდებით საქართველოს წართმეულ სუვერენობისა აღსაღენად. თამარ პაპავამ უტყუარი უწევებით გამოსვლინა 'თითეული მათგანის მიერ გადატანილი პატრიოტული თავდადება, შრომა, მათი მწუხარება სამშობლოს უბედობის გამო. თითეულ ისტორიულ ნაკვეთში გამოსცევიან ქართველი ქალის შეუპოვრობა, ბრძოლის უნარი და და გამჭრიახობა. ასე მაგალითად. მეფე ერეკლეს ქალებში წინ წარმოგიდგებათ, დედოფალი დარეჯანისა და ერეკლეს ასულთა, სახელდობრ ქეთევანისა, მარიამისა და თეკლასი. ყველანი იყვნენ მონაწილენი 1832 წლის შეთქმულბის. ყველანი იყვნენ პოეტები, უმღეროდნენ სამშობლოს, მის სიყვარულს. მათ ღრმად განიცადეს ქართული სახელმწიფოს გაუქმება; უკანასკნელ სულის ამოთქმამდე დარჩნენ ერთგული მებრძოლნა მისი უფლები. სათვის.

ერთ-ერთ ნარკვევში ავტორი მოგვითხრობს ალაქსანდრე ბატონიშვილის მეულე მარიამზე, რომელმაც იბრძოლა არ წაეყვანათ მისი შვილი რუსეთში, რაც მან ვერ შეისრულა.

„ბატონიშვილი დარეჯანში“ მკაფიოდ გადმოცემულია, ამ შესანიშნავი ქალის სახე, თავგანწირებით რომ იბრძოდა; იმერეთის მეფის ასული არ შედრკა, არც ქმრის ბრძოლის ველზე დალუპვით, და არც ბრძოლაში შვილების დახოცეთ.

ნეტარბსენებულ თამარ პაპავას ნარკვევებში აღწე-

როლია მაშინდელი, პეტერბურგიდან მოვლინებული მართველნი და მათი ნამოქმედარნი.

თამარმა მეუღლესთან ერთად გამოსცა ცალკე წიგნი: „მარიამ, უკანასკნელი დედოფალი საქართველოში“, — თავხედ გენერალ ლაზარევს რომ ხანჯალი ჩასცა; ეს ტრალიყული გაელვება, სიმბოლიურად გამოიყურება ვითარცა უაღრესი აღელვება, პროტესტი მთელი ერისა...

ვუმადლოდეთ ქაბატონ თამარ პაპავას, მის ნიჭიერ კალამს, რომ უკდავჭყო ქართველ ქალთა მოღვაწეობა სამშობლოს წინაშე.

ქ.ნ თამარის ხსოვნა პატივისცემით გადაეცემა თაობი-დან თაობას...

„ჩვენი დროშის“ რედაქციია თავს იხრის მისი ხსოვნის წინაშე და გულწრფელ თანაგრძობას უცხადებს მის ძეირფას შვილებს.

—[::]—

3. ს.

## სამართლებო გამოსვლა

(გაკვრით).

საბჭოთა კავშირის კომპარტიის მე 25-თე ყრილობაზე, ბრეენევმა თავის საანგარიშო მოხსენებაში განაცადა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში აღგილი არ არის მლიქვნელობისათვისი. მაგრამ იმავე ყრილობაზე ბრეენევი დიდი კმაყოფილებით უსმენდა მოკავშირე რესპუბლიკებისა და სხვა პარტიული ხელმძღვანელების ქება-დიდებას მისი პიროვნების მიმართ;

ბრეენევის პიროვნების ქება-დიდებამ ისეთი ფორმები მიიღო ყრილობაზე, რომ მოგვაგონდა ე. წ. სტალინის პიროვნების კულტი. ლ. ბრეენევის ქება-დიდებაში განსაკუთრებით თავი ისახელა საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა, ედუარდ შევარდნაძემ, რომლის სამარცვინო გამოსკლამ, უცხო პრესის ყურადღება მიიპყრო და კიდეც აღნიშნა: „საქართველოს წარმომადგენელმა მლიქვნელობის მხრივ უმაღლეს წერტილს მიიაღწიათ“.

წავიკითხე თუ არა შევარდნაძის სიტყვა, თავი უხერხულად ვიგრძენი და უსათუოდ ყველა ქართველის

გულში, რომელსაც არ დაკარგვია არა მარტო პიროვნული ლიტერატურა, არამედ იყას და უფრთხოილდება ეროვნულ ლიტერატურა, გამოიწვევს აღმფოთებას და ქართველობის ლიტერატურის დამცირებას...

ვითომ ედუარდ შევარდნაძე, ვინაიდან ის პატარა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელია ვალდებული უნდა იყვეს მლიქვნელური ქება-დიდება უძლვნას ლ. ბრევნევს, ადგან ის „დიდი რუსეთის“ ხელმძღვანელია?

შევარდნაძის ქება-დიდება, ლეონიდ ბრეუნევმა, ასე ვთქვათ, „შეიმშვენა“, ასც გვაფიქრებინებს, რომ ამგვარი გულისამრევი ხოტბის, შექების სიტყვებით, ბრეუნევმა და მისმა მიმდევრებმა წააქეზეს საბჭოთა კაშირის სხვა პარტიული ხელმძღვანელებიც ჯერ-ჯერობით შევარდნაძეს დარჩა პირველობა მლიქვნელურ-ქებადიდებაში.

შევარდნაძე არ დაქმაყოფილდა ბრეუნევის ქებით და მისდგა რუსეთის ქებას, ვითარცა მეფის რუსეთის პირწავარდნილ დიდმპყობელ შოენინიტივით: „საქართველოს, ამხანაგებო მზიურ ქვეყანას უწოდებენ, მაგრამ ჩვენი კეშმარიტი მზე აღმოსავლეთიდან კი არა, ჩრდილოეთიდან ამობრწყინდა ლენინურ იდეების მზე. საქართველო სამხრეთის რესპუბლიკა, მაგრამ კეშმარიტი სითბო ჩვენთან შემოვიდა ჩრდილოეთიდან; დარიალის ხეობიდან იგი — ლენინური იდეების სითბო ჩვენთან მოვიდა საქართველოს ისტორიულ სამხედრო გზით, — რუსეთ - საქართველოს გზით. ეს ძეგლი. (ლაპარაკია ლენინის ძეგლზე) ლენინის საქმისადმი ჩვენი ერთგულების მარადიული სიმბოლოა, ჩვენ დიდ, უმძლავრეს, ბრძენ ძმასთან, რუს ხალხთან“-ო.

იგრიალა ტაშმა.

ჩვენი მკითხველისათვის კომენტარი ზედმეტია.

რა საჭირო იყო ამდენი მლიქვნელობა, ამდენი სიყალ-ბის თქმა ლეონიდ ბრეუნევის, რუსეთისა და რუსი ხალხის მიმართ? ... ასტომ ივიწყებს ედუარდ შევარდნაძე, რომ ბრეუნევისა და საბჭოთა რუსეთის წინამორბედნი — მეფის რუსეთი თუ ლენინის რუსეთი ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრენ საქართველოში და მოგვტაცეს ჩვენ ეროვნული თავისუფლება?.. და ამას, თუ ვნებავთ, ისიც არ ადასტურებს, რომ ედუარდ შევარდნაძის ასეთი

გულშემაწუხებელი ქება-დიდება გამომხატველი არ არის დაპყრობილის სულისკვეთებისა დამყრობელის მიმართ? ბრეუნევი და შევარდნაძე, რუსეთი და საქართველო, რუსი ერი და ქართველიერი მართლაც რომ მეგობრები იყვნენ, როგორც ამას შევარდნაძე ამბობს, მაშინ ვანა მას დას. ჰირდებოდა ამგვარი მლიქვნელური ქება-დიდების მიღ-ლენა ლეონიდ ბრეუნევის, რუსეთისა და რუსი ერისადმი? — რა თქმა უნდა არა!.. და აი ამიტომ ვამბობთ ჩევნ, რომ თუ შევარდნაძესა და ბრეუნევს — მართლაც მეგობრობის დამყარება სურთ: ხალხებს, სახელმწიფოებს და მათ შორის საქართველოსა და რუსეთს, ქართველ ერსა და რუს ერს შორის, მაშინ სწორედ ამგვარ მლიქვნელობას ბრეუნევ - შევარდნაძის ურთიერთობაშიც უნდა მოელოს ბოლო, და საქართველოს „პირველმა“ ხელმძღვანელმა, რომლის როლში დღეს ედუარდ შევარდნაძეა გამოყვანილი, — უნდა განუცხადოს თვით ლეონიდ ბრეუნევსაც კი: „ჩევნი თავი ჩევნადვე უნდა გვეყუდნდეს!“ დიდი ილიას ამ სიტყვების განხორციელება კი, უდაოა, შეუძლებელია ისეთ მლიქვნელური ქება-დიდებითი სიტ-კვებით, რომლებიც, სამწუხაროთ, ედუარდ შევარდნაძემ უძლვნა ლეონიდ ბრეუნევს — მეფის რუსეთსა და ლენინის რუსეთის ბატონობის გამგრძელებს საქართველოში; და რა გასაკვირია, რომ სწორედ ამიტომ დაწერა საფრანგეთის დიდმა გაზეთმა „მონდმა“, რომ მლიქვნელობის მხრივ, უდაოდ, უმაღლეს წერტილს მიაღწია სა-საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის „პირველმა მდივანმა — ედუარდ შევარდნაძემ“-ო.

დიმიტრი მარშანია.

### შევარდნაძის აღსაჩვენა

საქართველოს კომპარტიის უკანასკნელ ყრილობაზე პარტიის გენერალურმა მდივანმა, საზოგადოებრივი ცხოვევრების შემაძრუნებელი სურათი გადაშალა.

ვალაპარაკოთ თვით შევარდნაძე:

„ამხანაგებო! — მიმართავს იგი ყრილობას, — (დაიმახ-სოვრეთ კარგათ ეს კოფრი), ყოველ ოთხ დამზადებულ სამ-რეწველო საქონელზე, ერთი უსათუოდ უვარვისია. გვ-კითხებით: ვისთვის ვამზადებთ საქონელს, თუ შინაურ

მოხმარებისათვის, ეს მხოლოდ სამარტვინოა ჩვენთვის, — თუ დასაცავეთისათვის, საექსპორტოდ, მაშინ უცხოეთის ბაზარზე, კაპიტალისტურ ქვეყნებიდან საუკეთესო საქონელს, — ჩვენი დაბალი ხარისხის პროდუქცია მის კონკურენტის ვერ გაუძლებს. მას არავინ შეიძებს. კაპიტალისტები არც ისე სულელები არიან შეიძინონ ჩვენი დაბალ-ხარისხის საქონელი. გარეგნულად თითქოს ყველა ცდებია მოხდენილი საქმის გამოსასწორებლად, საქმარისია ახლო გაცნობა, რომ დარწმუნდეთ, ყველაფერი მხოლოდ ქალალზე აჩება“. (იხ. „ზარია ვოსტოკი“ ამაწლის 23 იანვრისა).

შევარდნაძე მეორე აღვილას განაცრძობს: „მშენებლობა სრულიად უნუგეში მდგრმარეობაშია, ხუთწლედში გათვალისწინებული გეგმა განუხორციელებელი დარჩა, მცხოვრებთ არ მიუღიათ 420 ათასი კვადრატიული მეტრი ფართობისა. მრავალი ათასი მცხოვრები, ჯერ კიდევ ცხოვრობენ „ბარაკებში“. 32 ქალაქს არ გააჩნია კანალიზაცია“.

შევარდნაძეს აწუხებს მომავალი:

ახალგაზრდობა უგულებელყოფს კომუნისტურ იდეოლოგიას; დაუკარგავს პარტიულობა, რაზედაც ჰყელა თვალსა ხუჭავს. ან შევს თეორიად ასალებენ...

რაც შეეხება სასოფლო მეურნეობას, იქ სრული ქოსია, ადგილობრივ პარტელმდღვანელობას ვერ მიუღწევია იმის თვის რომ მოახდინოს ალრიცხვა, გამოარკვიოს თუ რამდენი სავენახო მიწები გააჩნია, რაღან ყველას ეშინია სწორად იყოს წარმოდგენილი სამეურნეო ნაყოფი. კორუპციაში ჩათრეულია მაღალი ხელმძღვანელობის პირები: კერძო საკუთრების ტენდენცია და ჩვეულებები დღეს, ძველი დროის გადმონაშთები კი არ არის, ისინი ახლა იჩინენ თავს და მოქალაქის გონიერას ეპატრონებიან! ისინი გადმოდიან შეტევაზე, იპყრობენ პოზიციებს.

იპყრობენ ადამიანის სულსა და გულს. ამ 15—20 წლის მანძილზე დამკვიდრდა კოლიუნტარიზმი. სუბიექტივიზმი, ხდება შეხელულებათა გადაფესება, უმთავრესად ახალგაზრდობაში, მისი სულიერი ვითარება განიცდის ცვალებადობას. — შევარდნაძე აჯამებს: ამდაგვარად გამეფებულია შექრთამება, კომბინატორობა, ძარცვა-დატაცება, ქურდობა, ეგოიზმი, მომხვეველობა, ანგარება, ძმბიჭობა კერძო მესაკუთრეობის ფსიხოლოგია, ნათლიმამობა და სხვა.“ — ი შევარდნაძის სიტყვები, რომელიც

დასძენს: „ეს რომ ვინშეს „სამიზდატში“ დაქტერა და ავტორი დაგვეჭირა, დავსჯიდითო“. უსათუოდ, მაგრამ ვინ დაიჭერს შევარდნაძეს? ეროვნულ ჩაგვრასთან: ერთად, ან რა მოვციტანა ლენინის სოციალ-პოლიტიკურმა რეუიმბა. 50 წლის განმავლობაში, ეს სოციალური სენი, — გასაღებულია „სოციალიზმად“.

საბრალო ჩვენი სამშობლო! რომლის ყოველდღიური პრესა ხალხის გაბედნიერებაზე ტრაბახობს, ახლა უცბად გამოიჩინა იმისათვის ვისაც არ სჯერავდა, თუ როგორ დაავადმყოფებულია მისი საზოგადოებრივი ცხოვრება.

როგორ ფიქრობს შევარდნაძე, ამ აღსარების შემდეგ ცოდვების გამოსწორებას, ბოროტების აღმოფხვრას, ერში ნორმალურ საზოგადოებრივ ცხოვრების დამყარებას? საჭირო ყოფილა ახალი პირები ხელმძღვანელობაში. ამავე დროს, ცეკა თურმე ამზადებს და მიიღებს დაგვენილებებს კერძო სუუთრებისადმი მისწრაფებათა მოსასპობად. ფუჭი ოცნებაა!

შევარდნაძემ დააჯიმა დააყრობილ საქართველოში, 50 წლის განმავლობაში შექმნილი მატურიალური და მორალური დაცემა რეემის. სანამ სისტემა არ მოიშლება და ხალხს არ მიეცემა საშვალება, უფლება თვით განავოს საკუთარი ქვეყანა, შექმნას ნორმალური. ეროვნულ-ეკო-მიური და სოციალური წყობა მართველობისა, იქნიბამდე შევარდნაძის უმწეო, წინასწარ განწირული ზომები. ქვეყანას მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანს. . .

პლატონ ლეჭავა.

### სათვისტომოს პრეზი

ამა წლის 4 აპრილს, შესღევი სათვისტომოს კრება, რომლის გახსნისთანავე კრების თავმჯდომარემ მოუწოდა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ გარდაცვლილ თავმჯდომარის ლევან ზურაბიშვილის ხსოვნისათვის, რაც დამსწრეთა მიერ, დიდი მოქრძალებით შესრულებული იქმნა.

სათვისტომოს თავმჯდომარე, ბატონი ვიქტორ ხომერიკი კითხულობს უქანასენელ წლებში გარდაცვლილ მამულიშვილთა სისა, და აგრეთვე, მოახსენებს კრებას. ჩვენი სათვისტომოს ყოფილ თავმჯდომარის, ცნობილ

პოლიტიკურ და ჩვენი პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის,  
შალვა აბდუშელის გარდაცვალების ათი წლის თავს.  
კრება, ფეხზე აღვმოით, პარტიის ცემს მათ ხსოვნას.

დღიურ წესრიგში სდგას მოხსენება გამგეობის. სარე-  
ვიზიო კომისიის, არჩევნები თავმჯდომარის და გამგეო-  
ბის.

სათვისტომოს თავმჯდომარე, ბატონი ვიქტორ ხომერი-  
კი აცნობს კრებას გამგეობის მიერ ჩატარებულ მუშაობას.  
საიდანაც ირკვევა, რომ ჩატარებულა მნიშვნელოვანი  
შრომა, როგორიცაა: ქართული სკოლის დაარსება და  
ბიბლიოტეკის გახსნა ქართულ ეკლესიაში. ჩვენი ტრადი-  
ციული წმ. ნინოს დღის და ავგისტოს აჯანყების დღის  
მოწყობა, მიმდინარე საკითხების მოგვარება და სხვა.  
გამგეობის მოლარე, ბ-ნ ოთარ პატარიძის და სარევიზიო  
კომისიის თავმჯდომარე ბატონი დიტო კლდიაშვილის  
ძიერ წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ერთხმად.

სათვისტომოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა  
ბ-ნი ვიქტორ ხომერიკი. გამგეობაში ქალბატონები:  
ქეთევან დადიანი. ნელი გოგიტიძისა, ზეინაბ ზურაბიშ-  
ვილისა. ბატონები: ივ. ციცაშვილი, გვივი ბეგიაშვილი გია  
სარჯველაძე. სარევიზიო კომისია იქმნა ძველ შემადგე-  
ნელობით დატოვებული და დაემატა ბატონი ჭავჭავაძე.

ვუსურვებთ თავმჯდომარეს და გამგეობას ნაყოფიერ  
მუშაობას.

გრ. ბარაშიძე.

## 26 მაისი პარიზში

მიმდინარე წელს, პარიზის ერთ-ერთ, ეროვნულ დრო-  
შებით მრთულ დარბაზში თავი შეიყარა მრავალ-რიცხო-  
ვანმა საზოგადოებამ.

ზემდებარებულ აქცადებს სათვისტომოს თავმჯდო-  
მარე ბ-ნი ვ. ხომერიკი. ქალვაკა გუნდი ასრულებს  
ეროვნულ ჰიმნს „დიდებას“ „მარსელიეზას“, რის შემ-  
დეგ თავმჯდომარე ფრანგულ და ქართულ ენაზე მი-  
მართავს საზოგადოებას ფრიად შინაარსიანი 26 მაისისთ-  
ვის შესაფერ სიტყვით. აქ დაბადებული და აღზრდილი  
ახალგაზრდა მიხეილ გოგიტიძე, წარმოსთვევაში, ფორმი-  
თა და შინაარსით მხურვალე სიტყვას. მისი გამოსვლა  
იყო აღმოჩენა, ახალგაზრდობის ფიცი და ერთგულების  
გამეღავნება სამშობლოს სიყვარულისა, და მისი უფლები-

სა და თავისუფლების მოსაპოებლად. ორატორი დაჯილ-დოვებული იქნა მხურვალე ტაშისცემით. ჩვენ მხრივ, ვუ-სურვებოთ მას და მის მეგობრებს ნაყოფიერ მუშაობას და წარმატებას რომლებმაც ამ დღისათვის გამოუშვეს უზრ-ნალი ფრანგულ ენაზე: „მერანი“-ს სახელწოდებით.

არტისტული ნაწილში, ქალ-ვაჟთა გუნდმა, ოთარ პა-რარიძის და ელენე გელაშვილის ხელმძღვანელობით, გვაჩვენა დაუვიწყარი სილმაზით, ქართული სიმღერები და ცეკვები, რითაც დიდათ ასიამოვნეს საზოგადოება რომლის მოთხოვნით რამოდენიმეჯერ იქნა გამოირჩებული. ყველა მონაწილეთ და მომწყობთ ჩვენი დიდი მაღ-ლობა.

გ. ბ.

### გარდაიცვალენ

ა/წ. 24 აპრილს, გულის დაცემით გარდაიცვალა, ჩვე-ნი მეგობარი ტარიელ უდენტი. საზოგადო საქმის დამმს-მარე, გულშემატკიცარი, მოყავის, ერთგული პატრიოტი. დასაფლავებულია ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

### † ვანო ვაჩნაძე

ა/წ. 24 აპრილს, ქ. სომურის საავადმყოფოში გარდაიცვა-ლა საფრანგეთის „ლეჟიონ დონორის კომანდორი“, სომურის სამხედრო სკოლის უფროსი ოფიცერი ვანო ვაჩნაძე. მიცვალებული დიდი პატივისცემით ჩამოსვენე-ბული და დასაფლავებული იქნა ლევილის ძმათა სასაფ-ლაოზე. დაესწრო სომურის სამხედრო სკოლის უფროსი, და სკოლის ოფიცრობა მთელი შემადგენლობით.

ქ-ნ ტ. გოლდმანმა შემოსწირა 50 დოლარი, თავის მამის, ილია გოლდმანის სსოვნის აღსანიშნავად.

კარლო ინასარიძემ — 200 ფრ. აკაკი შავგულიძემ — 100; გ — ლი — 100; ა. გ. — 100; გრ. ბარამიძემ — 100; ქ-ნი გოგუაძისა — 50; ქ-ნი სტურუასი — 50, შ. ჯაველი-ძე — 150; თ. თაყაიშვილისა — 20 ფრანკი.

ამერიკიდან: ისილორე გაუნია 25 დოლარი. ლადო შა-ქარაშვილი — 10 დოლ. — გივი კობახიძე — 10 დოლ. კარლო გვარჯალაძე — 10 დოლარი.

პარიზის ს. დ. კომიტეტი ულრმეს მაღლობას მოახსენებს მათ, რომლებმაც გამოეხმაურენ მის მოწოდებას. (სია გამოცხადებული იყო წინა ნომერში) და კვლავ სთხოვს თანამემამულეთ დახმარონ ეროვნულ ბრძოლის ორგანოს.